ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის ახალი ფორმა

მირონ ფირცხელანი

1. ენერგეტიკული საწარმოების შემოსავალ-გასავალი

საქართველოს ენერგოსისტემაში მომსახურების თვალსაზრისით ძირითადად სამი დაქვემდებარების საწარმო მუშაობს: 1. ელექტროენერგიის მწარმოებელი, ანუ გენერაციის სადგურები (ჰიდრო, თბო); 2. ელექტროენერგიის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის საწარმო ("ელექტროსისტემა"); 3. განაწილება-გაყიდვის საწარმოები, ანუ გამანაწილებელი კომპანიები ("ს.ს თელასი","ენერგო-პრო ჯორჯია", კახეთის გამანაწილებელი კომპანია).

საკუთრების მიხედვით სამივე სახის საწარმოში არსებობს, როგორც კერძო საკუთრება (რომლის წილად თითქმის 80%-ზე მეტი მოდის), ასევე სახელმწიფო საკუთრება. ეკონომიური თვალსაზრისით ნებისმიერი საწარმოს (მიუხედავად საკუთრების ფორმისა) ერთ-ერთ მთავარ მიზანს, საქონლის (ელექტროენერგიის), წარმოების, მომსახურებისა და რეალიზაციის შედეგად მიღებული მაქსიმუმი შემოსავალი წარმოადგენს, რაც მათი საქმიანობიდან გამომდინარე განისაზღვრება. მაგალითად, გენერაციის საწარმოების შემთხვევაში, (ჰიდრო ან თბო ელექტროსადგურები). წლიური შემოსავალი, დამოკიდებულია გამომუშავებული კილოვატსაათების რაოდენობაზე და ტარიფის სიდიდეზე; "ელექტროსისტემის", ანუ გადაცემა-დისპეტჩერიზაციის შემთხვევაში, რაც უფრო მეტი იქნება მომსახურება (გადაცემული და დისპეტჩერირებული ელექტროენერგია, მათ შორის ექსპორტ-იმპორტიც) და ამ მომსახურების ტარიფი, მით უფრო მეტია მისი შემოსავალი. სამი გამანაწილებელ-გადამყიდველი საწარმოს (კომპანიების), შემოსავალი დამოკიდებულია, გაყიდული (რეალიზებული) ელექტროენერგიის რაოდენობაზე და განაწილების ტარიფის სიდიდეზე. სამივე შემთხვევაში (გადასახადების ნაწილში), გასავლები (ფონდებზე ამონაგები, საგადასახადო განაკვეთები, ფიქსირებული დანახარჯები, ცვლადი დანახარჯები და უშუალოდ პირდაპირი გადასახადები) პროცენტულად თითქმის თანაბარია, ხოლო მოცულობით (საქმიანობის და ტარიფის სიდიდის სხვადასხვაობიდან გამომდინარე) სხვადასხვაა.

ამ გადასახადების სიდიდე მთლიან შემოსავალთან მიმართებაში, როგორც ქვემოთ წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, შემდეგია:

შპს "ვარციხე-2005" – 16%; შპს "თბილწყალკანალი" (ჟინვალჰესი) – 19%; ს.ს. "ლაჯანურჰესი" — 14,3%; შპს "ორთაჭალენერჯი" — 17,43%; ს.ს. "ბჟუჟაჰესი" — 9,02%; შპს "ენგურჰესი" — 19,9%; ს.ს. "ენერგო-პროჯორჯია" — 9,66%; შპს "საქართველოს სახელმწიფო ელ.სისტემა" — 10,79%;

გამომდინარე იქიდან, რომ გამომუშავებული ელენერგიის მოცულობა და მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლები სხვადასხვაა, კვლავწარმოებისათვის გაწეული დანახარჯებიც ბუნებრივია სხვადასხვა იქნება, ანუ როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემოსავალზე ძირითადად მოქმედებს ორი კომპონენტი: გამომუშავებული ელ. ენერგიის რაოდენობა და კილოვატსაათების ღირებულება. მაგალითისთვის, ენგურჰესის შემთხვევაში, თუ წლიური გამომუშავებული ელენერგიის რაოდენობა 2986,36 მილ. კვტ. საათს შეადგენს და ტარიფი 1,187 თეთრია, მაშინ შემოსავალი 35,4 მილიონი ლარი იქნება, ხოლო საგადასახადო გასავალი 7,05 მილიონი. ვარციხის შემთხვევაში გამომუშავება 426 მილ.კვტ.სთ-ს, (ტარიფი 1,25 თეთრი), შემოსავალი 5,3 მილიონ ლარს, ხოლო გასავალი 0,852 მილიონ ლარს შეადგენს. შესაბამისად სხვადასხვა სიმძლავრის სადგურებისთვის შემოსავლებიცა და გადასახადებიც სხვადასხვა იქნება.

ერთობლიობაში სამივე სახეობის საწარმოს დანიშნულებას (მოვალეობას) ელექტროენერგიის გამომუშავება და მომხმარებლებამდე მიწოდება წარმოადგენს, ხოლო დაინტერესებას, მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები. ელექტროენერგიის რაოდენობას, აღმრიცხველი ხელსაწყოები ითვლიან (რომელთაც კონტროლს სამი სხვადასხვა ორგანიზაცია უწევს). აქ სადაო არაფერი არ უნდა იყოს. რაც შეეხება ტარიფის სიდიდეს, აქ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს, საქართველოს ელექტროენერგიის ეროვნული მარეგულირებელი კომისია წარმოადგენს, რომელიც ლიცენზიის მქონე ორგანიზაციებს (საწარმოებს) მათ მიერ წარმოდგენილი საბუთებისა და ანგარიშების საფუძველზე, ინდივიდუალურად უმტკიცებს.

არსებული მდგომარეობით, ენერგეტიკული საწარმოები მიუხედავად საკუთრების ფორმისა (გენერაცია, "ელექტროსისტემა" და გამანაწილებელი კომპანიები) კონკურენციის პირობებში არ იმყოფებიან. თითოეულ მათგანს სემეკის მიერ ლიცენზიით განსაზღვრული სამუშაო სფერო აბარია. თვით ერთსა და იმავე სახეობის შიგნით არსებულ (მაგალითად: გენერაციის სადგურები, გადამყიდველი კომპანიები) საწარმოებს შორისაც არ არის სა-

კონკურსო პირობები შექმნილი. ფაქტობრივად თავისუფალი ბაზრის ცნება და პრინციპები საქართველოში ჯერჯერობით უარყოფილია. განვლილმა პერიოდმა აჩვენა, რომ ამ სფეროში ჯერჯერობით გამჭვირვალობა ნაკლებად მოიაზრება. მომხმარებლების უკმაყოფილება აგრეთვე გამოწვეულია იმ ფაქტის გამო, რომ კილოვატსაათის ღირებულება პიკური დატვირთვით, ანუ სეზონურობის პრინციპით კი არ იცვლება, არამედ მუდმივად (მთელი წლის განმავლობაში) ერთი და იგივე ფასი ადევს (თანაც მაქსიმუმი). მყიდველს არ აქვს საშუალება ხარისხისა და ფასის მიხედვით აირჩიოს ელექტროენერგიის მომწოდებელი, ამიტომ იძულებულია დაემორჩილოს არსებულ წესს.

საქართველოს ენერგოსისტემაში, კერძო სტრუქტურების კუთვნილი ელექტროსადგურების ტარიფი უფრო დიდია, ვიდრე სახელმწიფო სადგურებისა. მარეგულირებელი ორგანო ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ თითქოს კერძომ გაცილებით მეტი ფული (ინვესტიცია) უნდა ჩადოს, ვიდრე სახელმწიფო ორგანიზაციამ (სტრუქტურამ) საკითხი სადაოა, ორივე მხარეს აქვს (თავის სასარგებლოდ) მტკიცებულება. ეს დავა გაგრძელდება მანამ, ვიდრე თავისუფალი ბაზრის პრინციპი არ გახდება ძირითადი წარმმართველი ძალა.

როგორც წარმოდგენილი განხილვიდან ჩანს, ნებისმიერ საწარმოს (მიუხედავად საკუთრების ფორმისა), აქვს როგორც შემოსავალი, ასევე გასავალი. შემოსავალი პირდაპირ პროპორციულია გასაყიდი ელექტროენერგიის რაოდენობის და ერთეული კვტ/სთ-ის ფასის სიდიდის (ტარიფის) ნამრავლის.

როგორც ცნობილია, მთლიანი შემოსავალი პირობითი მცნებაა, რადგანაც ეს არ არის ის შემოსავალი, რომელიც საწარმოს მოგების სახით უცვლელად დარჩება. შემოსავლის დიდი ნაწილი საექსპლუატაციო ხარჯებს ხმარდება, ამ ხარჯების მიხედვით დგინდება თვითღირებულება.

ცნობილი საანგარიშო ფორმულების მიხედვით, წარმოებული და ქსელში გაცემული ელენერგიის თვითღირებულება ტოლია წლიური საექსპლოატაციო ხარჯების ფარდობისა, ელსადგურის სალტეებზე გაშვებულ წლიურ (ჯამურ) ენერგიასთან.

$$S = \frac{\Sigma U_{\text{ხხ}}}{Э_{\text{წლ}} - \Delta Э_{\text{კვტსთ}}},$$

სადაც $\Sigma U_{\text{ხხ}}$ - **წლიური საექსპლოატაციო ხარჯებია,**

$Э_{\text{წლ}}$ — სადგურის სალტეებზე გამომუშავებული წლიური ენერგია (კვტსთ).

$\Delta Э$ — ენერგიის რაოდენობა საკუთარ მოხმარებაზე.

სხვადასხვა ტიპის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელენერგიის თვითღირებულება სხვადასხვაა, მათ შორის:

$$S_{\text{თეხი}} = \frac{\Sigma U_{\text{ხხ}}}{Э_{\text{წლ}}} = \frac{U_{\text{ფ}} + U_{\text{ხელ}} + U_{\text{ექსპ}} + U_{\text{ტექ}} + U_{\text{სხვ.}}}{Э_{\text{წლ}}} \cdot \frac{\text{ლარი}}{\text{კვტსთ}}$$

$$S_{\text{თეხი}} = \frac{\Sigma U_{\text{ხხ}}}{Э_{\text{წლ}}} \cdot \frac{\text{ლარი}}{\text{გ.ჯოული}}$$

$$S_{\text{ჰეხი}} = \frac{\Sigma U_{\text{ხხ}}}{Э_{\text{წლ}}} = \frac{(H_{\text{ამორ}} + K_{\text{ხ.ხ.ოეფ}})K_{\text{ხვედრითი ხარჯი}}}{Э_{\text{წლ}}} \cdot \frac{\text{თეთრი}}{\text{კვტსთ.}}$$

სადაც $H_{\text{ამ}}$ — არის ამორტიზაციის ნორმა

$K_{\text{ექსპ}}$ — საექსპლოატაციო ხარჯების კოეფიციენტი

$K_{\text{ხვ}}$ — ხვედრითი კაპიტალური ხარჯები

$h_{\text{დადგ}}$ — დადგმული სიმძლავრის გამოყენებული საათების რიცხვი

$$S_{\text{ატ.სადგ.}} = \frac{U}{Э_{\text{წლ}}} = \frac{U_{\text{სთბ}} + U_{\text{ამორტ}} + U_{\text{ხელფ}} + U_{\text{რემ}} + U_{\text{სხვ.}}}{Э_{\text{წლ}}} \cdot \frac{\text{ლარი}}{\text{კვტ.სთ.}}$$

$$S_{\substack{\text{ელ.გადაც.დისპეჩ.}\\ \text{განაწილებისა}}} = \frac{U_{\text{ექსპ}}}{Э_{\text{წლ}}} = \frac{U_{\text{გად}} + U_{\text{დისპ}} + U_{\text{განაწ.}}}{Э_{\text{წლ}}}$$

ელექტროენერგიის სრული თვითღირებულება ტოლია:

$$\text{სისტემის } S_{\text{სრ.}} = \frac{\Sigma S_{\text{გამ}} + \Sigma S_{\text{გად.განაწ.დისპ.}} + \Sigma S_{\text{შესყიდ.}} + \Sigma S_{\text{სხვად}}}{(\Sigma Э_{\text{გამომ.}} + \Sigma Э_{\text{შესყიდ.}})\left(1 - \frac{\alpha}{100}\right)}$$

სადაც α · არის ქსელში ენერგიის დანაკარგები %-ში.

$\Sigma U_{\text{ხხ}}$— არის სისტემის ელექტროსადგურებში გამომუშავებული ენერგიის თვითღირებულება, თეთრი/ კვტ. სთ.

$\Sigma S_{\text{გად.გადანაწ.დისპ.}}$ — არის გადაცემა-განაწილება-დისპეტჩერიზაციის თვითღირებულება.

$\Sigma S_{\text{შეს.}}$ — პარალელურად მომუშავე ელექტროსადგურებიდან და ბლოკსადგურებიდან შესყიდული ელენერგიის ღირებულება.

$\Sigma S_{\text{სხვ.}}$— სასისტემო და არასაწარმოო ხარჯები;

$\Sigma Э_{\text{გამ.}}$ — სისტემის ელსადგურების მიერ გამომუშავებული და სალტეებზე გადაცემული ენერგიის რაოდენობა.

წარმოდგენილი გამოსახულებები, შეიძლება სრულად ვერ ასახავდნენ თვითღირებულებას (სხვადასხვა დროს საწარმოების სხვადასხვა გადასახადები ემატებათ ან აკლდებათ), ამიტომ თითოეულმა საწარმომ (გენერაცია-გადაცემა-დისპეტჩერიზაცია-განაწილება) ინდივიდუალურად უნდა წარმოადგინოს საკუთარი ანგარიშები. საკუთარი საწარმოს წლიური ხარჯი ყველაზე კარგად თვით მეწარმემ იცის. სწორედ ამ პრინციპზეა დამყარებული მართვის ახალი წესები, სადაც საწარმოები, ყიდვა-გაყ-

იდვის ბაზარზე თავის ნაწარმს ყიდიან იმ ფასში, რაც მათთვის მომგებიანია, ანუ ითვალისწინებენ, როგორც საკუთარ შემოსავლებს, ასევე კონკურენციის პირობებსაც.

როგორც წარმოდგენილი ანალიზიდან ჩანს, ცალკეული საწარმოების: გენერაციის სადგურების, ელექტრო სისტემის, გამანაწილებელი კომპანიების მიერ გაწეული ხარჯების მიხედვით განისაზღვრება თვითღირებულება. ყოველივე ამის გათვლისწინებით დგება ამა თუ იმ საწარმოოს შემოსავალ-გასავლის ბალანსი.

თუ საწარმო ზარალით განაგრძობს მუშაობას, იგი გაკოტრდება, ამიტომ ნებისმიერი წარმოება მოგებაზე უნდა იყოს დაგეგმილი. არის შემთხვევები, როდესაც საწარმო, მოგებაზეა გათვლილი, მაგრამ მაინც ზარალიანი ხდება. ეს უკვე არასწორი მმართველობით სისტემისა და მომსახურე პერსონალის დამსახურებაა, ანუ ადგილი აქვს საექსპლოატაციო ხარჯების გაუმართებლად გაზრდას და უგეგმო ოპერაციებს. ჩვენს შემთხვევაში ხანგძლივ ავარიებს, ელენერგიის გამომუშავების, გადაცემისა და გაყიდვის შემცირებას, ფასების დამახინჯებას და სხვა. გამონაკლისს წარმოადგენს ბუნებრივი არახელსაყრელი კლიმატური პირობები, რაც იშვიათია, მაგრამ მაინც გასათვალისწინებელია.

წარმოების სწორი მართვა ნიშნავს ნებისმიერი დროის განმავლობაში კვლავწარმოების მოთხოვნების უზრუნველყოფას და მაქსიმუმი მოგების მიღებას. სწორედ აქ გამოვლინდება ხოლმე მომსახურე პერსონალისა და, რაც მთავარია, მმართველი გუნდის ტალანტი და პასუხისმგებლობა. მათ პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინონ საკუთარი და სხვისი გამოცდილება. პარალელურად დანერგონ სიახლეები. წარმოების წესი მუდმივ (პროგრესს) აღმავლობას უნდა განიცდიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმო ჩამორჩება და შეჯიბრებითობის უნარს დაკარგავს.

როგორც აღვნიშნეთ, ტარიფის სიდიდის განსაზღვრა მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რომელიც საფუძვლად იღებს, ამა თუ იმ საწარმოს საანგარიშო ხარჯებს და ტარიფს ამის შესაბამისად ამტკიცებს. ამჟამად არსებული ტარიფების სიდიდე სემეკის მტკიცებულებით, შეესაბამება იმ რეალობას, რაც ქვეყანაშია. თუმცა მომხმარებელი უკმაყოფილოა. ამ უკმაყოფილებას კიდევ ის ფაქტი აძლიერებს, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი დამატებითი ღირებულების გადასახადის შემოღების შესახებ, რომელიც ამჟამად 18%-ს შეადგენს და საბოლოოდ მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს, რაც სინამდვილეში კიდევ უფრო ზრდის ტარიფის სიდიდეს. ყოველივე ამის შედეგად კიდევ უფრო იზრდება ეკონომიურად გაჭირვებული მოსახლეობის უკმაყოფილება. მაგალითად ს.ს. "თელასის" მომხმარებლებისათვის: 18% დანამატის გათვალისწინებით,

101 კვტ/სთ-ის ჩათვლით (საბოლოო მომხმარებლის) გადასახადი ხდება 13,48 თეთრი/კვტ.სთ.

101 კვტ.სთ.-დან — 301 კვტ.სთ-ის ჩათვლით, 16,00 თეთრი/კვტ.სთ.

301 კვტ.სთ-დან ზევით, 17,698 თეთრი/კვტ.სთ.

(ანალოგიურად 18% ემატება, როგორც ს.ს."ენერგო-პრო ჯორჯიას", ასევე სხვა გადამყიდველი კომპანიების მომხმარებლების გადასახდს).

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიური სატარიფო სისტემის ნორმების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისეთი შემოსავლის მქონე ქვეყნის მომხმარებლებისთვის (ერთ სულზე გაანგარიშებით) როგორიც საქართველოა, ასეთი სიდიდის ტარიფები მიუღებელია. საერთაშორისო ვალუტაში — (ამერიკული დოლარის არსებული კურსის მიხედვით), საფეხურებრივად (101კვტ.სთ, 301კვტ.სთ და ზევით) მოხმარებული ელენერგიის საფასური შეადგენს 8,02 ცენტს, 9,52 ცენტს და 10,53 ცენტს, რაც მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში, მაღალანაზღაურებადი (დიდი შემოსავლების მქონე) მომხმარებლებისთვისაა დამახასიათებელი. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თვით ტარიფში არასწორად არის განაწილებული წილები, კერძოდ, ყველაზე დიდი წილი გადამყიდველ კომპანიებს აქვთ (საშ. 70%). მაშინ, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით ელენერგიის ერთიან ტარიფში ყველაზე დიდი წილი საშ. 54% მწარმოებელ სადგურებზე მოდის, 8-დან 10%-მდე გადაცემა-დისპეტჩერიზაციაზე და 36% — გამანაწილებელზე. ტარიფის დამდგენთა განცხადება იმის შესახებ, რომ გადამყიდველ კომპანიებს მაღალი ტარიფი იმ მიზნით დაუწესდათ, რომ "ინვესტორებითვის" (პრივატიზების დროს) მიმზიდველი გახდეს ესა თუ ის საწარმო, ვერაფერი გამართლებაა.

საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში, ტარიფის სრულ ღირებულებაში, ჰიდროგენერაციის წილი (საშუალოდ) 16,7% შეადგენს, ხოლო მთლიანად გენერაციის წილი (თბოსადგურების ჩათვლით გარანტირებული სიმძლავრის გარეშე) — 21,76%-ს; ამასთანავე ფაქტია, რომ ჰიდროელექტროსადგურებიდან ყველაზე დაბალი ტარიფი სახელმწიფოს კუთვნილ ჰიდროელექტროსადგურებს: ვარდნილ-ჰესს (1,17თეთრი/კვტ.სთ) და ენგურჰესს (1,187კვტ.სთ) გააჩნიათ. კიდევ უფრო დიდი უსამართლობაა სახელმწიფო ელექტროსისტემის მიმართ, რომლის ტარიფი (ერთ კილოვატ-საათზე) 0,5-დან 0,6 თეთრამდე მერყეობს.

ტარიფის რეგულირების პირობებში მაღალი ტარ-

იფის დაწესება, ერთი მხრივ საუკეთესო გამონაგონია ელექტროენერგიის დეფიციტის აღმოსაფხვრელად. მეორე მხრივ, (კონკურენციის არარსებობის პირობებში) ეს არის დიდი შემოსავალი იმათთვის, ვინც ეს სისტემა დააკანონა.

მსოფლიოს სხვადასხვა მოწინავე ქვეყნების პრაქტიკაში (ინგლისი, ამერიკა, იაპონია) ე.წ. პრივატიზების, ანუ სახელმწიფოს მიერ ენერგოსაწარმოების კერძო საკუთრებაში გადაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, გარდა ერთჯერადი მოგებისა (რაც ობიექტების გაყიდვის შედეგად მიიღება), სახელმწიფო ბიუჯეტში (გადასახადების სახით) რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებაა გათვალისწინებული. საქართველოს შემთხვევაში, როგორც ანალიზმა აჩვენა, პრივატიზების (გაყიდვის) შედეგად მიღებული შემოსავლები მინიმალურადაც კი არ შეესაბამება ობიექტების რეალურ ღირებულებას. რაც შეეხება სახელმწოფო ბიუჯეტში გადასახადების სახით შენატან წლიურ შემოსავლებს, საშუალოდ მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 20% შეადგენს.

აშკარად ჩანს, რომ მთავარი მოგების მიმღები, ამა თუ იმ ენერგეტიკული საწარმოს კერძო მესაკუთრეა, რის გამოც ქვეყანა ყოველწლიურად დიდ შემოსავლებს კარგავს. ასე მაგალითად: წლიური მონაცემების მიხედვით, დავუშვათ 2010 წელს, საქართველოს სადისტრიბუციო ქსელმა ("ესკოს" ჩათვლით) საშუალოდ 10 მილიარდი კილოვატსაათის რეალიზაცია მოახდინა. არსებული სატარიფო სისტემის შესაბამისად, თუ ერთი კილოვატსაათის საშუალო (გასაყიდი) ტარიფის სიდიდედ 15 თეთრს ავიღებთ, ჯამური ღირებულება 1,5 მილიარდი ლარის ტოლია. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული საგადასახადო სისტემის მიხედვით საშუალოდ 20%, ანუ 300 მილიონი ლარი უნდა შესულიყო. ხოლო 1,2 მილიარდი ლარი (80%) მწარმოებლებისა და გადამყიდველების წილად რჩება, მათ შორის გადამყიდველი კომპანიების საკუთრება (ტარიფის მიხედვით) 960 მილიონი ლარი იქნება, ხოლო გენერაციისა და "ელექტროსისტემის" წილად 240 მილიონი ლარი დარჩება. ასე რომ 10 მილიარდი კილოვატ-საათის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი (საშუალოდ 64%), გადამყიდველი კომპანიების წილად მოდის. თუ ყოველივე ამას ის გარემოებაც დაემატება, რომ მთავარ გადამყიდველ ორგანიზაციებს (კომპანიებს) საკუთრებაში გენერაციის სადგურებიც (როგორც თბო, ასევე ჰიდრო) სიმბოლურ ფასად გადაეცათ, მაშინ მათი შემოსავლები კიდევ უფრო იზრდება და იგი საშუალოდ 70%-ზე მეტი ხდება. ცხადია, რომ კერძო სექტორი, აშკარად ჩაგრავს სახელმწიფო ორგანიზაციებს, რაც გაუმართლებელია. ყოველივე ამაზე (წლების განმავლობაში) დიდი დავაა ატეხილი, მაგრამ უშედეგოდ. ის ფაქტი, რომ უცხოურ კომპანიებს, (ქვეყნის კუთვნილი შემოსავალი ამხელა მოგებით) საზღვარგარეთ გაჰქონდეთ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ დასტურდება. ამდენად თემის აქტუალობიდან გამომდინარე და მართვის ახალი წესების დანერგვის მიზნით, ამ საკითხებზე განსაკუთრებით გავამახვილებთ ყურადღებას.

ხანგძლივი დროის განმავლობაში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად მტკიცდება, რომ კერძო, ან სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოებისთვის, დამახასიათებელია შემდეგი დადებითი და უარყოფითი თვისებები:

1. კერძო მფლობელი, უპირველეს მნიშვნელობას ეკონომიკურ მხარეს ანიჭებს, რაც საწარმოს მაქსიმალურ მოგებაზეა გათვლილი;
2. ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს პირდაპირი ხარჯები, მათ შორის ხელფასის ოდენობა, რაც თანამშრომელთა რიცხვის შემცირებას იწვევს, ერთი სიტყვით, უფრო მომჭირნეა.
3. მოწყობილობა-დანადგარების, მასალებისა და დამხმარე საშუალებების გამოყენების მხრივ მაქსიმალურად ზრდის ექსპლუატაციის ხანგძლივობას, აუმჯობესებს შენახვის პირობებს და საერთოდ ცდილობს ნაკლები დანახარჯებით უფრო დიდი ხნით და მეტი რაოდენობის საქონელი აწარმოოს (ამ შემთხვევაში ელექტროენერგია);

კერძო მფლობელის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს:

1. ზოგიერთი აუცილებელი ხარჯების გაწევის უგულებელყოფა;
2. სამუშაო ადგილების შემცირება;
3. შემოსავლების დამალვა;
4. სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებების დამახინჯება.

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოში შემოსული კერძო კომპანიების მუშაობის სტილს, მათი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მოკლე დროში მეტი მოგება მიიღონ.

სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების ადმინისტრაციებისთვის დამახასიათებელია:

1. საექსპლოატაციო ხარჯების შედარებით უყაირათოდ ხარჯვა;
2. კადრების ხელოვნურად გაზრდა;
3. სახელფასო განაკვეთებისა და სხვა დანამატების უსამართლოდ განაწილება;
4. საწარმოს ფუნქციის პოლიტიკური ნიშნით განსაზღვრა;
5. სხვადასხვა მაქინაციების საშუალებით მაღალი თანამდებობის პირთა შემოსავლების გაზრდა, "პროტექციონიზმი" და ასე შემდეგ...

სახელმწიფო ობიექტებისთვის მართვის დადებ-

ით მხარედ სახელმწიფოს წინაშე აღებული მოვალეობა-პასუხისმგებლობის პირველ ადგილზე დაყენება ითვლება. ამ შემთხვევაში ქვეყნის ხელისუფლება დროის მოკლე მონაკვეთში (სტრატეგიიდან გამომდინარე) იოლად ცვლის სახელმწიფო საწარმოს მუშაობის (სტილს) მიმართულებას. თუ ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა თავისუფალი ბაზრის პრინციპით არ ხორციელდება, მაშინ ორივე სისტემისთვის დამახასიათებელია ურთიერთ გარიგება (აღებ-მიცემობა) და ა.შ.

ამრიგად წარმოდგენილმა განხილვამ აჩვენა, რომ საქართველოში საკუთრების ორივე ფორმისთვის დამახასიათებელია, როგორც დადებითი, ასევე (უფრო მეტად) უარყოფითი მოვლენები, რაც თანამედროვე ეტაპზე დარგის განვითარების შემაფერხებელი მიზეზია. განვითარებული საზოგადოებისთვის და მით უმეტეს ქვეყნისთვის, რომელსაც სურვილი გააჩნია იცხოვროს ცივილიზებულ სამყაროში, ასეთი შეცდომების დაშვება მიუღებელი უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მართვის სისტემაში აუცილებელია შემოღებული იქნას ახალი წესები, რაც დაფუძნებული იქნება მეცნიერულ კვლევაზე. კონკრეტულად: სხვადასხვა საწარმოებში (ელენერგიის წარმოება, გადაცემა-დისპეტჩერიზაცია, განაწილება-გაყიდვა და ა.შ.) წინასწარ დადგინდება საწარმოს ფუნქცია; მუშაობის სტილი; საკუთრების ფორმა (სახელმწიფო, კერძო ან შერეული); ამა თუ იმ უბანზე მომუშავე სპეციალისტთა (საჭიროება) რიცხოვნება. თავისუფალი ბაზრის პრინციპით ჩამოყალიბდება სამართლიანი სატარიფო და საგადასახადო სისტემა, შესაძლებელი გახდება საბოლოო ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრა; სამომავლო საინვესტიციო მოკლე და გრძელვადიანი გეგმის შედგენა; ახალი სიმძლავრეების ათვისება; გასაღები ბაზრების შესწავლა; კონკურენტუნარიანობის მიღწევა; ეკოლოგიური ნორმების დაცვა და მთლიანობაში ენერგოეფექტურობისა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა. მეცნიერთა ჯგუფი (ან ინსტიტუტი), რომელიც ამ კვლევებზე იმუშავებს არ იქნება ორიენტირებული მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ (მით უმეტეს მოქმედ) საწარმოზე, არამედ მათ უნდა შეძლონ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების ჯერ დაზუსტება და შემდგომ სამუშაო გეგმის დონეზე დამუშავება, ფაქტობრივად წინასწარ უნდა გააკეთოს ამა თუ იმ ორგანიზაციის მოდელირება (პროგრამირება), ვარიანტების შერჩევა, განვითარებული ქვეყნებისა და თვით ქვეყნის შიგნით დაგროვილი გამოცდილების დანერგვა, რაც თითოეულ საწარმოს მისცემს საშუალებას, ყველაზე საუკეთესო შედეგებს მიაღწიოს. აქვე დავძენთ, რომ ამ საკითხზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფი დაზღვეული უნდა იყოს ნებისმიერი უარყოფითი გავლენისაგან (მათ შორის, როგორც სახელმწიფო მაღალჩინოსანთა, ასევე კერძო მეწარმეთა ზეწოლისგან). ამასთანავე ამ მეტად სერიოზულ და საპასუხისმგებლო საქმეზე დავალება უნდა მიეცეს არა მარტო ერთ რომელიმე მეცნიერულ ჯგუფს, ან ინსტიტუტს, არამედ რამდენიმეს, რომ მიკერძოებას არ ჰქონდეს ადგილი.

შენიშვნა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "მთის პრობლემების შემსწავლელი კომისიის" მიერ, 2010 წელს განხორციელებული იქნა ანალოგიური პროგრამა, რაც ითვალისწინებდა დარგობრივი პრინციპით მთის მოსახლეობის პრობლემების შესწავლას, დამუშავებას, წიგნად დაბეჭდვასა და ადგილობრივი ადმინისტრაციებისთვის სახელმძღვანელოდ გადაცემას.

ვინ უნდა იყოს დავალების მიმცემი, ანუ დამკვეთი? პასუხი ცალსახაა: საზოგადოება, სახელმწიფო და თვით მეწარმეები, სხვა შემთხვევაში ბალანსი დაირღვევა (ცხადია ამ შემთხვევაში იგულისხმება განვითარებული საზოგადოება და კეთილი ნების მქონე სახელმწიფო წყობა). მეცნიერული კვლევების შედეგად დადგენილი წესები (ნორმები) მისაღები და გამოყენებადი უნდა გახდეს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მეწარმეებისთვის. დადგენილი (ნორმა) წესი შეიცვლება მხოლოდ დროში და სივრცეში, იმ (ფაქტორებიდან) მიზეზებიდან გამომდინარე, რაც არსებული დროისა და სივრცისთვის იქნება დამახასიათებელი.

ყველა შემთხვევაში უცვლელი უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

1. საქონელი (ელექტროენერგია), როგორც ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების (წყლის, ნახშირის, ქარის, გაზისა და ა.შ.) წყაროების შედეგად მიღებული ნაწარმი, საერთო-სახალხო საკუთრებაა და ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, ამდენად ნებისმიერი საქონლის წარმოება (და მათ შორის ელექტროენერგიის) დაკავშირებული უნდა იყოს, როგორც პიროვნების (ინდივიდის), ასევე მთელი საზოგადოების (სახელმწიფოს) კეთილდღეობასთან.

2. ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა (რეალიზაცია), ან მეცნიერულ დონეზე სამართლიანობის ნიშნით ჩამოყალიბებულ რეგულირების წესს უნდა ექვემდებარებოდეს, ანდა წმინდა საბაზრო პრინციპებს. (ან ორივეს ერთად).

3. ერთეული კილოვატსაათის საერთო ფასის სიდიდის (ტარიფის) ჩამოყალიბების დროს, თითოეულ მეწარმეს (გენერაციას, გადაცემა-დისპეტჩერიზაციას, გადამყიდველს) გაწეული ხარჯისა და შრომის მიხედვით უნდა განესაზღვროს საკუთარი წილი.

4. საქონლის (ელექტროენერგიის), წარმოებისა

და გაყიდვის (რეალიზაციის) შედეგად მიღებული მოგება უნდა ნაწილდებოდს, მწარმოებლებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის, სადაც სახელმწიფო და მეწარმეები მოგების ნაწილს ჩადებენ კვლავწარმოებაში, ხოლო ნაწილს პირადი მოთხოვნილებისდა მიხედვით გამოიყენებენ.

5. სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც როგორც ენერგეტიკის, ასევე სხვა დარგებიდან (სხვადასხვა გადასახადების სახით), შემოსული ფულადი რესურსების ხარჯზე უნდა ივსებოდეს, ვალდებულია ამ დარგების შემდგომი განვითარებისთვისაც იზრუნოს.

2. მართვის ახალი წესების პირობებში ელექტროენერგიის მიწოდებისა და ანაზღაურების სქემების განხილვა

ელექტროვაჭრობის (ბაზრის) განვითარება დამოკიდებულია იმ ძირითად ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ საქონლის (ამ შემთხვევაში ელენერგიის) წარმოებაზე, მიწოდებაზე, ანაზღაურებაზე და რაც მთავარია ყიდვა-გაყიდვის სწორი მექანიზმის შექმნაზე. ელექტროენერგიის გამომუშავება და მოხმარება ორ ნაწილად იყოფა. პირველი - ეს არის ტექნიკური მხარე, ხოლო მეორე — კომერციული.

ტექნიკურად ელექტოენერგიის წარმოებას და მიწოდებას შემდეგი სახე აქვს (იხ. სქემა – 5. 1).

საქართველოში გენერაცია იყოფა თბო და ჰიდროელექტროსადგურებად. ჰიდროელექტროსადგურებში, ჰიდროტურბინისა და გენერატორის, ხოლო თბოსადგურებში თბოტურბინის და გენერატორის საშუალებით ხდება ელექტროენერგიის გამომუშავება, რაც შემდგომ ქვესადგურებისა და ელექტროგადაცემის ხაზების მეშვეობით მიეწოდება მომხმარებელს.

საქართველოში ელექტროსადგურების მუშაობას სეზონური ხასიათი აქვს. კერძოდ, თბოსადგურები უმეტესად ზამთრის პერიოდშია დატვირთული, ხოლო ჰიდროსადგურები ზაფხულში. გამონაკლისს წარმოადგენენ მარეგულირებელი წყალსაცავიანი ჰიდროსადგურები, რომელთაც ორივე სეზონში შეიძლება იმუშაონ (იმისდა მიხედვით, სისტემაში, ელექტროენერგიის დეფიციტია თუ არა). გენერაციის სადგურები გამომუშავებულ ელექტროენერგიას, ელექტროსისტემას გადასცემენ, რომლის ფუნქციაა, ქვესადგურებისა და ელექტრო გადაცემის ხაზების საშუალებით მომხმარებლამდე (მყიდველამდე) მიტანა. არსებული მდგომარეობით, ელექტროსისტემას გამოეყო დაბალი 100/35-6/10-0,4 ქსელები, რომლებიც ფაქტობრივად ჩამოყალიბდნენ, როგორც ენერგიის შემსყიდველი კომპანიები. ბოლო წლებში ტექნიკურად, მწარმოებლიდან შემსყიდველამდე, ელენერგიის მიწოდებაში ხარვეზი არ არის. თუ ურთიერთშორისი ხელშეკრულება მოქმედებაშია, პროცესი უწყვეტად ხორციელდება. ამდენად სახეზეა გასაყიდი საქონელი, რომელსაც ელექტროენერგია ჰქვია.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში ყიდვა-გაყიდვის სხვადასხვა ფორმა არსებობს, მათ შორის მიწოდებულ ელექტროენერგიას ყიდიან, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციები, ასევე კერძო კომპანიები. მათი მოთხოვნაა ორივე შემთხვევაში დაცული იყოს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. მომხმარებელს ელექტროენერგია უწყვეტად უნდა მიეწოდოს;

2. მიწოდებული ელექტროენერგიის ხარისხი უნდა იყოს დაცული;

3. ვაჭრობა კონკურენციას უნდა ექვემდებარებოდეს.

საქართველოს ენერგოსისტემაში (1993-2007წლები) ტრადიციულად ადგილი ჰქონდა მიწოდებული ელექტროენერგიის ანაზღაურების დაბალ კულტურას, რომლის მიზეზსაც ელენერგიის დეფიციტი, აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, გადამხდელებისადმი ცუდი ურთიერთობა, კორუფცია და სიღარიბე წარმოადგენდა.

ბუნებრივია, ელექტროენერგიის გამომუშავება და მომხმარებლამდე მიწოდება თავისით არ ხდება. მთელ ამ პროცესს მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტები მართავენ, ისინი გაერთიანებული არიან სხვადასხვა სამსახურებში: ელექტროსადგურებში, ქვესადგურებში, მაღალი და დაბალი ძაბვის გადაცემის ქსელებში, დისპეტჩერიზაციაში, გამანაწილებელ და გადამყიდველ ორგანიზაციებში. პირველ ნაწილს (ელექტროსადგურებს, ქვესადგურებს, დისპეტჩერიზაციასა და გადაცემის ხაზებს) პირობით შეიძლება წარმოება ვუწოდოთ, ხოლო მეორე ნაწილს (განაწილება-გაყიდვას) რეალიზაცია.

პრაქტიკიდან აშკარად ჩანს, რომ რეალიზაციის საქმეში, კერძო სტრუქტურა უფრო ეფექტურად მუშაობს, ვიდრე სახლმწიფო. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, პირადი პასუხისმგებლობისა და შემოსავლების ფაქტორია გადამწყვეტი.

საქართველომ ნაწილობრივ ორივე სისტემა გამოიარა, თუმცა არც ერთი მათგანი კორუფციისაგან დაზღვეული არ ყოფილა. ამდენად საკმაო გამოცდილება დაგროვდა. ამის მიუხედავად, დღეს არსებულ ყიდვა-გაყიდვის მართვის მექანიზმს, სრულყოფილს ვერ ვუწოდებთ. ნებისმიერი საქონელი მწარმოებლიდან მყიდველამდე შუალედურ რგოლს გადის. რაც უფრო მოკლეა ეს გზა, წესით მით უფრო იაფი უნდა იყოს საქონელი, და პირიქით,

რაც უფრო მეტია "მონაწილეთა რიცხვი", მით უფრო ძვირდება. 5.2 სქემაზე ნაჩვენებია ელექტრო საბითუმო ბაზრის მუშაობის მექანიზმი. ამ სქემის მიხედვით ელექტროსაბითუმო ბაზარში ხდებოდა, როგორც ელექტროენერგიის დაბალანსება, ასევე ფულადი რესურსების აკუმულირება. პროცესი იმდენად უპასუხისმგებლო და გაუგებარი იყო, რომ არც მეწარმემ და არც გადამყიდველმა არ იცოდა, ვის ვისი ვალი ემართა. შედეგმაც არ დააყოვნა, ელეტროსაბითუმო ბაზარს ასეულობით მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა. ბუნებრივია, ეს იწვევდა როგორც მწარმოებელთა, ასევე მომხმარებელთა უკმაყოფილებას, "მოთამაშეთა" შორის დაშვებული იყო ფასების დისკრიმინაცია. ხელოვნურად იქნა გაზრდილი როგორც ტექნიკური, ასევე კომერციული კარგვები. მიწოდებული ელექტროენერგიის ანაზღაურებაზე (მწარმოებლის მიმართ) ე.წ. საბითუმო ბაზარი პასუხისმგებლობას არ იღებდა. აღრიცხვის სისტემა (განსაკუთრებით რაიონებში და სოფლებში) არ იყო მოწესრიგებული. მიუხედავად იმისა, რომ სესხის მუშაობას სამინისტროსა და სემეკის მიერ დამტკიცებული ბაზრის წესები განსაზღვრავდა, პასუხისმგებლობას არ გრძნობდა.

3. განმარტებები კერძო სტრუქტურის (შპს, კ.ს.ს.) საქმიანობის შესახებ

სქემა #5.4-ზე გამოსახულია ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის კერძო სააქციო საზოგადოების სტრუქტურა. რომელიც მკაცრ საკონკურსო პირობებში უზრუნველყოფს ელექტროენერგიის როგორც შესყიდვას, ასევე გაყიდვას.

1. საქმიანობის სფერო:

გენერაციის სადგურებიდან წარმოებული ელენერგიის შესყიდვა და მომხმარებლებზე (გამანაწილებელი კომპანიები, მსხვილი და საშუალო საწარმოები, ინდივიდუალური აბონენტები) გაყიდვა.

2. წლიური მოცულობა

(გასაყიდი პროდუქტის - ელექტროენერგიის რაოდენობა).

1 მილიარდ კილოვატსაათიდან ზევით (2, 2,5, 5 და ა.შ.). იმისდა მიხედვით აუქციონზე, თუ რა რაოდენობისა და ტიპის მომხმარებელი იქნება წარმოდგენილი.

3. ურთიერთობის საფუძველი:

მყარი სახელშეკრულებო სისტემა, რომელიც დამტკიცებული იქნება სულ მცირე სამი იურიდიული სტატუსის მქონე პირის (ან პირთა ჯგუფის) მიერ.

სქემა (5.4)

ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის



1. **ხელშეკრულების თანმიმდევრობა:**

ა) კერძო სტრუქტურასა (შპს, ს.ს.) და გენერაციის სადგურებს შორის ფორმდება ხელშეკრულება შესასყიდი ელენერგიის რაოდენობაზე, ფასზე და მიწოდების პერიოდზე.

ბ) ხელშეკრულებაში ნაჩვენები იქნება აღრიცხვის წერტილები (სადაც ყოველდღიურად, ყოველკვირეულად და ყოველთვიურად ჩვენებები იქნება აღებული), დამოწმებული იქნება აქტით, რომელზეც ხელს მოაწერს როგორც სადგურის (შემდგომში "მწარმოებელი"), ასევე კერძო სტრუქტურის (შპს, ს.ს.) (შემდგომში "მიმწოდებლის") წარმომადგენლები.

გ) სანამ ჩვენებების აღება დაიწყება, სადგურებსა და ქვესადგურებში უნდა მოწესრიგდეს საღრიცხვო სისტემა, დაიდგას ახალი (იქ, სადაც არ არის) "ალფა", ან სხვა თანამედროვე ტიპის მრიცხველები ისე, რომ არც ერთ მხარეს, მრიცხველების ჩვენებაზე პრეტენზია არ გააჩნდეს.

დ) მიმწოდებელი – კერძო სტრუქტურა (შპს, ს.ს.) და საქართველოს "ელექტროსისტემა", "გადაცემა-დისპეტჩერიზაცია") აფორმებენ ხელშეკრულებას შესყიდული ელენერგიის აღნიშნულ ადგილზე, (იმისდა მიხედვით, თუ სად მდებარეობს მყიდველის ობიექტი) გადაცემის შესახებ. ყველა იმ წესის დაცვით (აღრიცხვა, ჩვენებების აღება) როგორც ეს "ბ" და "გ" პუნქტებშია ნაჩვენები.ყველა ამ სტანდარტის დაცვით, რაც ექსპლოატაციას სჭირდება.

ე) მიმწოდებელი (კ.ს.ს, შპს) აფორმებს ხელშეკრულებას (მყარი გარანტიით, რომლის ერთ-ერთი ფორმა იქნება ბანკში მყიდველის მიერ დეპოზიტზე არსებული თანხა) მომხმარებელთან, ანუ შემდგომში "შემსყიდველთან" (გამანაწილებელი კომპანია, მსხვილი ან საშუალო საწარმო, ინდივიდუალური აბონენტი) ყველა იმ წესის დაცვით, როგორც ეს ა), ბ) და გ) პუნქტებშია ნაჩვენები.

ვ) ყოველი თვის პირველიდან ხუთ რიცხვამდე "მწარმოებელსა" და "მიმწოდებელს" შორის, "მიმწოდებელსა" და "შემსყიდველს" შორის ფორმდება აქტები, სადაც დაფიქსირებული იქნება წინა თვის განმავლობაში მიწოდებული ელენერგიის რაოდენობა და სატარიფო ღირებულება. აქტის სისწორე, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ხელმოწერითა და ბეჭდებით მტკიცდება. აქტების რაოდენობა იქნება იმდენი, რამდენი ხელმოწერაც იქნება (ერთი ეგზემპლიარი მომსახურე ბანკს გაეგზავნება).

ზ) ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან და ირჩევენ მომსახურე ბანკს, სადაც განხორციელდება ყველა ფულადი ოპერაცია. კერძო სტრუქტურის (შპს, კ.ს.ს), ანუ "მიმწოდებლის" მთავარი ფუნქციაა, შესყიდული ელექტროენერგიის დროულად ანაზღაურება, რაშიც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი მომსახურე ბანკს უკავია, კერძოდ:

ა) ბანკი განახორციელებს ოპერაციებს "მწარმოებლის", "გადაცემის", მომხმარებლის, ანუ "შემსყიდველის" მიერ ერთობლივად წარმოდგენილი დოკუმენტის, ან დოკუმენტების საფუძველზე.

უსაფრთხოების მიზნით "მომწოდებელმა" "შემსყიდველს" შესაძლებელია მოსთხოვოს (გარანტიის სახით) ბანკში დეპოზიტზე თანხის ჩადება. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" სრულად ვერ დაფარავს წინა თვის დავალიანებას, ბანკმა შეიძლება გაუფორმოს სესხი (სესხის გაცემის პირობები ცალკე ხელშეკრულებით ან სხვა საგარანტიო დოკუმენტით იქნება დაცული).

ბ) დადგმული სიმძლავრეების აღსადგენად, ახალი ტექნოლოგიების ასათვისებლად, ან ახალი ობიექტების ასაშენებლად, ბანკს შეუძლია ჩადოს საკუთარი კაპიტალი, ან გასცეს სესხი კერძო სტრუქტურაზე (შპს, კ.ს.ს.) წინასწარ შეთანხმებული პირობებით.

გ) პარტნიორ ორგანიზაციებს, გარდა საოპერაციო თანხებისა, მომსახურე ბანკში შეუძლიათ შეინახონ ნებისმიერი თანხა, იმ პროცენტული განაკვეთით, რაც ბანკის მიერ იქნება დაწესებული.

დ) ნდობის მოპოვების შემთხვევაში, ბანკს შეუძლია გარანტად დაუდგეს კერძო (შპს, ს.ს) სტრუქტურას, ამა თუ იმ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად (გარანტიის ფორმა შემუშავდება ურთიერთმოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე).

5. რა არის კერძო (შპს, ს.ს.) სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზეზები?

ა) ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული ელექტროენერგიის დეფიციტი;

ბ) წარმოებული და მომხმარებლამდე მიწოდებული ელექტროენერგიის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების არასამართლიანად განაწილება. რის გამოც ზარალდებიან როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე რიგითი მოქალაქეები;

გ) საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ნორმების

დაბალი დონე;

დ) ტექნიკური კარგვების მაღალი მაჩვენებელი;

ე) ახალი სიმძლავრეების ათვისების დაბალი მაჩვენებელი;

ვ) მომხმარებელთან ურთიერთობის დაბალი კულტურა;

ზ) ამჟამად ქვეყანაში არსებული ელენერგიის გამანაწილებელი სადისტრიბუციო ქსელი მოუწესრიგებელია (არ არის სრულყოფილი გამრიცხველიანება, ქვესადგურებში მოწყობილობა-დანადგარები საჭიროებს რემონტს, ან ახლით შეცვლას. საჰაერო და საკაბელო ხაზები, ან სარემონტოა, ან აღსადგენი).

თ) არსებულმა ელექტროსაბითუმო ბაზარმა, არა თუ დაარეგულირა ელექტროენერგიის წარმოება, მიწოდება და ფულადი ანაზღაურება, არამედ, პირიქით, უფრო გააუარესა. ამის მაჩვენებელი იყო ელექტროენერგიის დეფიციტი, გადახდის დაბალი მაჩვენებელი (22%). (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაზარმა თავისი მოღვაწეობა 1,5 მილიარდ ლარზე მეტი დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებით დაამთავრა);

ი) ამჟამად მოქმედი კომერციული ოპერატორი "ესკო" ყოველგვარი კონკურენციის გარეშე აწარმოებს საბალანსო ენერგიის ყიდვა-გაყიდვას, რაც ელექტროენერგეიის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის პრინციპებს აშკარად ეწინააღმდეგება.;

კ) შიდა მოხმარების ელექტროენერგიის ტარიფის მუდმივად მაღალი დონე.

6. რა დადებითი შედეგები შეიძლება მივიღოთ კერძო სააქციო საზოგადოების ამოქმედების შედეგად?

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების მაქსიმალურად აღმოფხვრა. მათ შორის: ქვეყანაში გაიზრდება ელექტროენერგიის წარმოება, აღმოიფხვრება დეფიციტი, გაიზრდება საექსპორტო წილი, შიდა მოხმარების ბაზარზე კნკურენციისთვის დამახასიათებელი თვისებიდან გამომდინარე შემცირდება ტარიფი. საბოლოო ჯამში გაიზრდება სახელმწიფოს შემოსავლები. გაიზრდება დარგში დასაქმებულ მეწარმეთა რიცხვი, მოიმატებს უშუალოდ ელექტროსადგურებზე და ქვესადგურებზე მომუშავე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შემოსავლები. შემცირდება ტექნიკური და კომერციული კარგვები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ენერგოუსაფრთხოების ამაღლების უზრუნველყოფას და სხვა.

7. კერძო სტრუქტურის უკეთესად მუშაობის განმსაზღვრელი ფაქტორებია: ა) მცოდნე და გამოცდილი კადრების ყოლა. ბ) საკუთრების ფორმის შეცვლა; გ) კონკურენციის მაღალი დონე.

8.რა ფულადი მოგება შეიძლება დარჩეს კერძო (შპს, ს.ს.) სტრუქტურას?

დაუშვათ ხელშეკრულება გაფორმდა 1 მილიარდი კილოვატსაათის მიწოდებაზე და რეალიზაციაზე (საქართველოში ამჟამად წლიურად იწარმოება 9-დან 10 მილიარდ კილოვატსაათამდე). სემეკის მიერ დადგენილი სატარიფო ღირებულებით, გენერაციიდან 1 კილოვატსაათის შესასყიდი ფასი საშუალოდ 1,8-დან 3,5 თეთრს შეადგენს, ხოლო ელექტროსისტემის ტარიფი 0,5, 0,6 თეთრია. თვით "მიმწოდებლის", ანუ კერძო სტრუქტურის საშუალო ტარიფი შეიძლება იყოს 0,5 თეთრი. ამ შემთხვევაში სატარიფო სისტემის მიხედვით, ერთი კილოვატსაათის ჯამური ღირებულება საშუალოდ 4,1 თეთრს მიაღწევს. 1 მილიარდი კილოვატსაათი უნდა გაიყიდოს საშუალოდ 46 მილიონ ლარად. "მწარმოებლის" წილი საშუალოდ 22 მილიონი ლარი იქნება, „ელექტროსისტემის" 9 მილიონი ლარი, ხოლო "მიმწოდებლის" (რეალიზატორის) 5 მილიონი ლარი. ეს არის წინასწარ დაგეგმილი, სატარიფო სისტემით რეალიზებული ელენერგია, რაც როგორც ჩანს გაცილებით აიაფებს, (როგორც ეს იყო საბჭოთა პერიოდში), თუმცა ამ შემთხვევაში ხშირად ადგილი ჰქონდა გასაყიდი ელექტროენერგიის მოცულობის დამახინჯებას, რაც კონკურენციის არ არსებობიდან გამომდინარეობდა. ბუნებრივად არსებული კონკურენციის პირობებში, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, კერძო სტრუქტურამ აჯობა სახელმწიფო ორგანიზაციას, რაც იმის მომასწავებელია, რომ კერძო სტრუქტურის დაინტერესება იზრდება პირადი შემოსავლით დაინტერესების ხარჯზე. აქვე ისმება კითხვა დღეს არსებული მდგომარეობით ძირითადი რეალიზატორი და მწარმოებელი კერძო სტრუქტურებია, მაშ რატომ არის მაღალი ტარიფები. საქმე იმაშია, რომ არსებული კერძო კომპანიები ყოველგვარი კონკურენციის გარეშე აღწევენ (საკუთრივ) მაღალი ტარიფების მიღებას. რაც ცხადია პირად დაინტერესებასთან არის დაკავშირებული, ამას შეიძლება დაგეგმილი კორუფცია ეწოდოს. ამდენად ყველა შემთხვევაში საჭიროა კონკურენციის შედეგად შექმნილი ბაზარი.

რა ხელისშემშლელი პირობები შეიძლება შეიქმნას კერძო სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში და შემდგომ მუშაობაში?

ა) დარგში არსებული კორუფციული სისტემის ჯერ კიდევ შენიღბული ჩინოვნიკური წრე არაოფიციალურად ეცდება, შეინარჩუნოს ძველი მდგომარეობა, (რაც დანაშაულთან არის დაკავშირებული);

ბ) საგადასახადო სისტემის მცდელობა "დაახრჩოს" მეწარმე, რაც გასაქანს არ მისცემს საქარ-

თველოში ბიზნესის განვითარებას;

გ) საზოგადოების გარკვეული ნაწილის უდარდელობა, რომლისთვისაც ვიდრე "სულს არ ამოხდიან", სულერთია რომელი სისტემა უმუშავებს.

აქვე უნდა დავამატოთ, რომ საზოგადოება და კანონი ენერგეტიკას აღიარებენ, როგორც სტრატეგიულ დარგს, აქედან გამომდინარე სახელმწიფო, როგორც საკონტროლო პაკეტის მფლობელი, ვალდებულია, თავისი წილი ჩადოს ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობაში, ახალი სიმძლავრეების ათვისებაში და საერთოდ სრული პასუხისმგებლობა აიღოს საბოლოო შედეგებზე.

"საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ" ითვალისწინებს კერძო სააქციო საზოგადოების შექმნას, რომელიც თავისუფლად ახორციელებს დებულებით განსაზღვრულ საქმიანობას. სააქციო საზოგადოების (შემდგომში ს.ს.) ერთ-ერთ მთავარი ვალდებულება საგადასახადო სამსახურებთან თანამშრომლობაა, რაც ძირითადად დაწესებული გადასახადის დროულად გადახდაში მდგომარეობს.

ზოგადად სააქციო საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ყველა იურიდიული ან ფიზიკური პირი, ვინც ეთანხმება წესდების ძირითადი დებულების მუხლებს და ასრულებს დაწესებულ მოვალეობას. პრაქტიკიდან გამომდინარე სააქციო საზოგადოების წევრობის სურვილი უფრო მეტად ენერგეტიკაში ჩახედულ მოქალაქეებს აქვთ. მნიშვნელოვანია სს-ს წევრებმა კარგად იცოდნენ დარგში შექმნილი მდგომარეობა, ჰქონდეთ უნარი სწორად შეაფასონ რისკის ფაქტორი.

ს.ს. თავის რიგებიდან (თუკი არიან სპეციალისტები), ანდა გარეშე პირთაგან აყალიბებს გუნდს, რომელიც მაღალ დონეზე (სახელშეკრულებო სისტემით) ასრულებს ელექტროენერგიის შესყიდვისა და გაყიდვის ოპერაციებს (შენიშვნა: თუ როგორ უნდა ხდებოდეს ელექტროენერგიის აღრიცხვა, გადაცემა-დისპეტჩერირება და მომხმარებლამდე მიტანა იხ. განმარტებები "კერძო სტრუქტურის საქმიანობის შესახებ" თან ერთვის).

ქვემოთ განხილული იქნება კონკრეტული მაგალითები სააქციო საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებულ სტრუქტურების მიერ შესაძლო ყიდვა-გაყიდვის მიახლოებითი მონაცემების საფუძველზე.

ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის მთავარი მიზანი კონკურენტუნარიანი ელექტრობაზრის შექმნაა, სადაც მომხმარებელს საშუალება ექნება ხარისხისა და ფასის მიხედვით აირჩიოს მიმწოდებელი. მარეგულირებელი კომისიის დანიშნულებაა ისეთი სატარიფო სისტემის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება ერთი კილოვატსაათის მაქსიმალური და მინიმალური ღირებულება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ყიდვა-გაყიდვა. (ცნობისთვის აღნიშნული საკითხი უკვე გადაწყვეტილია). სემეკმა კონკურსში მონაწილე თითოეული იურიდიული პირის ინტერესები უნდა დაიცვას. განსაკუთრებით კი საბოლოო მომხმარებლების. კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ სემეკის სრულყოფილ მუშაობას და ამ სტრუქტურაში, მომხმარებლების უფლებების დაცვას. (ჩამოვაყალიბეთ თავის ქმედებაში თავისუფალი სამსახური, მომხმარებელთა უფლებების დამცველის სახით).

განხილული მასალის საფუძველზე ელექტროენერგეტიკის მართვის ახალი წესების პირობებში შესაძლებელია შეიქმნას კონკურენციასა და სამართლიანობაზე ორიენტირებული, ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის ბაზარი. თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ბაზარი წელიწადში ერთხელ აცხადებს აუქციონს, სადაც თითოეული ელექტროსადგური მომავალი წლისთვის წარადგენს:

ა) გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობას;

ბ) ერთეული კილოვატსაათის ფასს;

გ) მიწოდების გრაფიკს.

ყიდვა-გაყიდვის ბაზარი, წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ქმნის წლიური მოხმარების ბალანსს. შემდეგ შემსყიდველებისთვის (გამანაწილებელი კომპანიები, მსხვილი და წვრილი საწარმოები) აცხადებს კონკურსს, სადაც დაკონკრეტდება შესყიდვის ფასი, მიწოდების მოცულობა, დრო და ადგილი. იმ შემთხვევაში თუ (მოქმედი) გამანაწილებელი ქსელის მეპატრონე, აუქციონზე ვერ იმარჯვებს, სემეკის გადაწყვეტილებით, მას ეძლევა მის კუთვნილ ქსელში ელექტროენერგიის გატარების ტარიფი.

აუქციონზე გამარჯვება დამოკიდებულია კონკურსში მონაწილე გამანაწილებელი (გადამყიდველი) ორგანიზაციების მიერ წარდგენილ ძირითად მახასიათებლებზე. კერძოდ: შესასყიდი და გასაყიდი ელექტროენერგიის ფასზე (იგულისხმება, რომ კონკურენციის შედეგად ფასები უნდა იცვლებოდეს), მიწოდების ხარისხზე და მომსახურების მაღალ კულტურაზე.

წარმატების მისაღწევად აუცილებელია დაცული იყოს რამოდენიმე პირობა:

1. კ.ს.საზოგადოება თავის ქმედებაში უნდა იყოს თავისუფალი (ყოველგვარი ხელოვნურად შექმნილი ზეწოლებისგან დაზღვეული);

2. მუშა გუნდი პროფესიონალი კადრებისგან უნდა დაკომპლექტდეს;

3. ქვეყანაში ჭარბი ელექტროენერგია უნდა არ-

სებობდეს, (ან უკიდურეს შემთხვევაში გარე მომწოდებელთან გარანტირებული ხელშეკრულება უნდა ჰქონდეს).

4. კ.ს.საზოგადოების საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე.

5. კ.ს.საზოგადოებამ აუცილებლად უნდა ჩამოაყალიბოს ხარისხის მენეჯმენტის სისტემა.

რაც შეეხება უშუალოდ ყიდვა-გაყიდვის სააქციო საზოგადოების შერჩევას, ესეც უნდა მოხდეს ანალოგიურად, კონკურსის წესით, რასაც მარეგულირებელი კომისია, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უნდა უზრუნველყოფდეს.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ სემეკში არსებულმა მომხმარებელთა უფლებების დამცველმა სამსახურმა, მაქსიმალურად უნდა გაამახვილოს ყურადღება, კონკურსის სამართლიანობის პრინციპით ჩატარებაზე.

ყოველივე ზემოთქმულის განხორციელების შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ დარგის შესაძლებლობები ერთი-ორად იზრდება, ქვეყანაში იქმნება საშუალო ფენის ჩამოყალიბების პირობა. ამ მიმართულებით თუნდაც ერთ დარგში პრეცენდენტის შექმნა მისაბაძი გახდება, სხვა (ჯერ კიდევ მოქმედი) დარგებისთვისაც, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის უმეტესი მოსახლეობის შეძლებულ ფენად გარდაქმნას გულისხმობს. ეს ფაქტი არც თუ მცირე მნიშვნელობისა უნდა იყოს.

4. კერძო სააქციო საზოგადოების ფინანსური წყაროები

პირველი წყარო: საკუთარი შენატანები;

მეორე წყარო: მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლები;

მესამე წყარო: საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული დაბალპროცენტიანი სესხები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

საკუთარი შენატანები — სააქციო საზოგადოების წევრები, საკუთარი შენატანების საფუძველზე ქმნიან გარკვეულ კაპიტალს. წევრების შენატანის ოდენობა ზუსტდება სააქციო საზოგადოების კრებაზე. შენატანმა თანხამ უნდა შეადგინოს აუცილებელი ნორმის მინიმუმი მაინც. წევრების შენატანი შეიძლება იყოს თანაბარი, ან განსხვავებული იმისდა მიხედვით, თუ რას ითვალისწინებს სააქციო საზოგადოების წესდება.

ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის უფლების მოსაპოვებლად აუქციონს ატარებს სემეკი (სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ენერგეტიკული საწარმოების შრომითი ამხანაგობების საბჭოების წევრებთან ერთად. აუქციონში გამარჯვებულ ორგანიზაციას ისევე როგორც მწარმოებელსა და გადამყიდველს), სემეკი უდგენს მომსახურების ტარიფის ზედა და ქვედა ზღვარს. ტარიფის სიდიდის შერჩევა ხდება კონკურსის პერიოდში წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე. კონკურსში მონაწილე თითოეული ორგანიზაცია წინასწარ ასახელებს მომსახურებისთვის მისაღები ტარიფის სიდიდეს.

კონკურსში გამარჯვებულ სააქციო საზოგადოებას შეუძლია მიმართოს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს (ბანკებს, თავისუფალი ფულის მფლობელ პირებს, ან ორგანიზაციებს), დადოს ურთიერთმომგებიანი ხელშეკრულება და აუცილებლობის შემთხვევაში აიღოს შედარებით დაბალპროცენტიანი სესხი, რომლის დაფარვა მისი საქმიანობის განმავლობაში უნდა იყოს შესაძლებელი. სესხის ოდენობასა და ხანგძლივობას სააქციო საზოგადოების საერთო კრება და მისი საბჭო განსაზღვრავს.

ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის წარმატების (ერთ-ერთი) ძირითადი პირობაა, მუშა ჯგუფის პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება. როგორ უნდა აირჩიოს ორგანიზატორმა მაღალი ხარისხის კადრები?

პირველ რიგში, ენერგეტიკულ "სფეროში" ცნობილია, თუ რას წარმოადგენს დარგში მომუშავე ესა თუ ის პიროვნება (ლაპარაკია როგორც ძველ, ასევე საშუალო და ახალგაზრდა ასაკისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტებზე). მათთვის უნდა ჩატარდეს საკონკურსო გამოცდა, სადაც თითოეული კანდიდატის ცოდნის შემოწმება მაღალ დონეზე მოხდება. ამის საფუძველზე შეირჩევა კონტინგენტი. აგრეთვე აუცილებელი იქნება ახალგაზრდა სპეციალობით კურსდამთავრებული პერსონალიდან კანდიდატების შერჩევა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. მომზადებული კადრებით ორგანიზაციის დაკომპლექტება დიდ გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს. ეს საქმე შეიძლება სპორტული გუნდის ჩამოყალიბებას შევადაროთ, რომელიც იწყებს ბრძოლას ჩემპიონობისთვის. როგორც მათი მწვრთნელისა და მთლიანობაში გუნდის გამოცდილებას, ფსიქოლოგიურ განწყობასა და შრომისმოყვარეობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ასევე ს.ს. ყიდვა-გაყიდვის ხელმძღვანელი რგოლისა და მის მიერ არჩეული გუნდის კარგ მუშაობაზეა დამოკიდებული წარმატების მიღწევა. გამოუცდელი და დაუდევარი (ზარმაცი) კადრებით ორგანიზციის დაკომპლექტება, წარუმატებლობის მთავარი მიზეზი გახდება. არაა

გამორიცხული ძირითადი კონტიგენტი მანამდე მომუშავე, (ყოფილი) ორგანიზაციიდან დაკომპლექტდეს. ერთი სიტყვით, ცოცხალი მუშა ჯგუფის შექმნა მთელი ხელოვნებაა და ვინც მას ღირსეულად დაძლევს, წარმატება გარანტირებული ექნება.

დასკვნა

ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის მოწესრიგება, მთლიანად დარგის განვითარების თვალსაზრისით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. იქ სადაც ეს საკითხი მოწესრიგებული არ არის, ვერც ერთი ენერგეტიკული საწარმო ნორმალურად ვერ ფუნქციონირებს. ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის მოქმედი სისტემა, მრავალმხრივ წინააღმდეგობაშია. ერთი მხრივ მარეგულირებელი კომისია და მონოპოლისტი გადამყიდველი კომპანიები არ ფიქრობენ შეცვალონ არსებული სისტემა, ხოლო მეორე მხრივ, როგორც გენერაციის, ასევე ელექტროსისტემის და განსაკუთრებით მოსახლეობის და მეწარმეების წარმომადგენლები გამოთქვამენ დიდ უკმაყოფილებას. უკმაყოფილება გაგრძელდება მანამ, სანამ ელენერგიის ყიდვა-გაყიდვა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს არ დაექვემდებარება.

კვლევის პერიოდში შესწავლილი იქნა სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიური სისტემები (როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, ასევე ევროპის და აშშ-ის). გათვალისწინებული იქნა სხვადასხვა ხასიათი და საქმისადმი დამოკიდებულება. ყოველივე ამის საფუძველზე შემუშავებული იქნა ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის კერძო სააქციო საზოგადოების ახალი სქემა, რომელიც მწარმოებლებისაგან (ასევე თავისუფალი ფასების პრინციპით) შესყიდულ ელექტროენერგიას, კონკურენციის საფუძველზე მიყიდის გამანაწილებელ კომპანიებს. ამ შემთხვევაში ფასების რეგულირება ხდება ბუნებრივად. პასუხისმგებლობას იღებს თითოეული "რგოლი". ტარიფების ღირებულების დადგენაში სამართლიანობის პრინციპი უფრო დაცული ხდება. კომერციული და ტექნიკური დანაკარგები მინიმუმამდე მცირდება. საბოლოო ჯამში, მომხმარებელი და მწარმოებელი ორივე კმაყოფილია. სახელმწიფო ბიუჯეტში გაცილებით მეტი შემოსავლები შედის, საწარმოების ყოველწლიური მოგება იზრდება. ავტომატურად იზრდება საპენსიო თუ სხვა ფონდებიც.

მიუხედავად წარმოდგენილი ფაქტისა, რაც ჯერჯერობით საკმაოდ რთული დასაძლევია, თავისუფალი ბაზრის პრინციპები აუცილებლად უნდა დაინერგოს. ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა აუცილებლად საკონკურსო პირობებში უნდა წარმოებდეს. კონკურსების ჩატარება სამართლიანობის სრული დაცვით უნდა ხდებოდეს.

რატომ ასეთი კატეგორიული მოთხოვნები?

საქმე იმაშია, რომ საბჭოთა პერიოდში და მის შემდგომ,, ელექტროენერგია კორუფციის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა, რაც სამწუხაროდ ტრადიციად დარჩა. ამ მანკიერი ქმედების მოშლა მხოლოდ კეთილი სურვილებით არ ხერხდება, საჭიროა მკაცრი სახელმწიფოებრივი მიდგომა. (რაც რეფორმების სრულყოფილებაში უნდა მდგომარეობდეს). ადამიანს, ან ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, (თუ პირობები ხელს უწყობს), სხვის ხარჯზე ფულის შოვნის იოლი გზა ყოველად მისაღებია. მთავარია „კრიშა" ჰყავდეთ გარანტირებული. სხვისი უფლებების დარღვევას არაფრად აგდებენ. ეს არის ორგანიზებული დანაშაული, თუ არსებული სისტემა არ შეიცვალა მომხმარებელი, რომელიც წლების განმავლობაში დაუმსახურებელად მაღალი გადასახადების გამო იტანჯება, როგორც იტყვიან „იფეთქებს" და პროცესები შეიძლება პოლიტიკურ ბრძოლაშიც კი გადაიზარდოს, ანუ მათ არჩევანის გზას არ უტოვებენ.

ქვეყანას, რომელსაც პრეტენზია დემოკრატიულობის მიმართ გააჩნია, ასეთი ქმედებების დაშვების უფლება არ უნდა ჰქონდეს.

Summary

One of the most important questions is a question of buying-selling of electric powers. If this question is not adjusted clearly, it is impossible for any industry to work, because it requires electric powers. The acting system of buying-selling of electric powers is inconsistent in many ways. On the one hand-adjusting commission and companies-monopolists, which resell the electric power and are not going to change already existing system, on the other hand- discontent of the population and representatives of private productions. The discontent will last until the sale of electric powers will not be on principle of free market.

The similar systems of the other countries were studied. (Former Soviet republics, some countries of the Europe and America .) Different activities and the attitude to deal were studied. Taking into account everything the new scheme of quotient join-stock company was created. It would buy electric power on principle of the free prices from producer of electric power, and would sell it by the companies-distributors on base of the competitions .In this case will occur natural regulation of prices. Responsibility for process will carry out each section. The determination of the tariff rates will become more protecting according to law. Commercial and technical costs losses will be

reduced. Finally the consumer and producer will get agreed. More finances will fall into government budget , annual profit from production will grow. Pension and the other funds will grow automatically.

In spite of mentioned difficulties, the determination of free market principle is necessary. Purchase and selling of electric powers must be on competitive condition. The Contests must be conducted according to law.

Why such strict requirements?

This is because at period of existence of the Soviet Union electric power was a source to corruptions, regrettably, the tradition remained. The fight with it cannot be only intention, it needs the hard approach of the state. (In conditions of the reforms).The persons or group of determined people want to do the money by light way. The main thing for them is guaranteed "roof". They don't take into account the breaking of the other people's rights. These are the representatives of organized criminality. If existing system will not change, the consumers, carried to despairs by high payments, can start the political fight if they will have no choice. The country, which considers itself democratic, must not allow such events.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. ე. ერისთავი, დ. ჩომახიძე, პ. ცინცაძე ენერგეტიკის განვითარების საფუძვლები. წიგნი I-II . თბილისი. 2000.
2. დ. ჩომახიძე საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. თბილისი. 2003.
3. დ. ჩომახიძე საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ–ეკოლოგიური პრობლემები. თბილისი. 2001.
4. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სტატისტიკური წელიწადეულები. თბილისი. 2002. 2005. 2010.
5. საქენერგოს საარქივო მასალები, თბილისი. 1989. 1990. 1993. 1994. 1995.
6. ნ. ფირცხელანი ქვეყნის ენერგოსატრანზიტო პოტენციალი უსაფრთხოების გარანტი თუ პოტენციური საფრთხე. თბილისი. 2010.
7. მ. ფირცხელანი მართვის ახალი ფორმა საქართველოს ენერგეტიკაში. სამეცნიერო ჟურნალი „ენერგია" N1, თბილისი 2004.